1960

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 11 (109) 20 აგვისტო 1960 წელი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### ნ ა წ ი ლ ი  პ ი რ ვ ე ლ ი

120. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და სისრულეში მოყვანის თაობაზე კონვენციის რატიფიკაციის შესახებ.

121. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ტაილანდში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ი. ნ. იაკუშინის განთავისუფლების შესახებ.

122. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ტაილანდში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ა. ნ. ნიკოლაევის დანიშვნის შესახებ.

123. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლიტვის სსრ თევზის მრეწველობის მუშაკთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

124. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ცნობა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში დეპუტატის არჩევნების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

### ნ ა წ ი ლ ი  მ ე ო რ ე

#### განყოფილება მეორე

125. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

126. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

127. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მოწინავე მშენებლების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

128. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კასპის რაიონის სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან ა. ნ. გოგოლაძის გაწვევის შესახებ.

## განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა
ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ.

# ნაწილი პირველი

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 120 უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და სისრულეში მოყვანის თაობაზე კონვენციის რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი კონვენცია უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და სისრულეში მოყვანის შესახებ, ხელმოწერილი სსრ კავშირის წარმომადგენლის მიერ ნიუ-იორკში 1958 წლის 29 დეკემბერს, **რატიფიცირებულ იქნას.** ამასთანავე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აკეთებს შემდეგ განცხადებას:

კონვენციის არა მონაწილე სახელმწიფოების ტერიტორიაზე გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მიმართ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი გამოიყენებს ამ კონვენციის დებულებებს მხოლოდ თანაზიარობის პირობებში.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი, 1960 წლის 10 აგვისტო.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 121 ტაილანდში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ი. ნ. იაკუშინის განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს ივანე ნესტერის ძე **იაკუშინი** ტაილანდში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი, 1960 წლის 11 აგვისტო.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 122 ტაილანდში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ა. ნ. ნიკოლაევის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ანატოლი ნიკოლოზის ძე **ნიკოლაევი** სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ტაილანდში.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი, 1960 წლის 11 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 123 ლიტვის სსრ თევზის მრეწველობის მუშაკთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

გაშლილ ზღვებში თევზის სარეწების განვითარებაში დიდი მიღწევებისა და თევზის ჭერაში მაღალი მაჩვენებლებისათვის მიენიჭოთ **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეთ **ლენინის ორდენი** და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო“**:

1. სერგი ივანეს ძე **ევგენიევს** — ქაშაყის საექსპედიციო ჭერის ბაზის № 4389 თევზსაჭერი საშუალო ტრაულერის კაპიტანს.

2. ვიტაუტას იულიონის ძე **მაჩიუკინასს**—საზღვაო აქტიური ჭერის ბაზის № 36 თევზსაჭერი საშუალო ტრაულერის კაპიტანს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი, 1960 წლის 11 აგვისტო.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 124 საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ **„გმირი დედის“** საპატიო წოდება და გადაეცეთ **„გმირი დედის“** ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი და მეტი შვილი:

1. ჩუტა ბუხუტის ასულ **აროხიას** — აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.

2. არიადნა არტემის ასულ **ახალაიას**—ჩხოროწყუს რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.

3. ხატინ ჯანალ ყზი **ჯანალს**—მცხეთის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.

4. ნინო ტიტოს ასულ **ძაგანიშვილს** — მცხეთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.

5. ტატიანა იასონის ასულ **ნაჭყებიას** — ჩხოროწყუს რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.

6. მუდვარ ახმედ ყზი **ოსმანოვას** — ქალაქ თბილისის სამგორის რაიონის „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობის წევრს.

7. ნუცა სამსონის ასულ **სიჭინავას** — ჩხოროწყუს რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.

8. ქრისტინე ძალიკას ასულ **თოდუას** — დიასახლისს, ჩხოროწყუს რაიონის სოფელი მუხური.

9. ვარდო დიმიტრის ასულ ხეთაგურს — დიასახლისს, საგარეჯოს რაიონის სოფელი კოჭბაანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1960 წლის 11 აგვისტო.

## ც ნ ო ბ ა

## სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში დეპუტატის არჩევნების შესახებ

1960 წლის 31 ივლისს კერკინის № 341 საარჩევნო ოლქში შედგა არჩევნები ეროვნებათა საბჭოში თურქმენეთის სს რესპუბლიკიდან.

დეპუტატად ეროვნებათა საბჭოში კერკინის № 341 საარჩევნო ოლქიდან არჩეულია ამხ. ბალიშ ოვეზოვი, თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

განათლების საქმეში და კომუნიზმის სულისკვეთებით ახალგაზრდა თაობის აღზრდაში დიდი დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 11 აგვისტოს ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია ყაზახეთის სსრ მასწავლებლები და სახალხო განათლების მუშაკები, რომლებსაც პატივი ხვდათ არჩეული ყოფილიყვნენ ყაზახეთის სსრ მასწავლებელთა ყრილობაზე.

სულ დაჯილდოებულია 926 კაცი, აქედან ლენინის ორდენით—59, შრომის წითელი დროშის ორდენით—121, „საპატიო ნიშნის" ორდენით—200 და მედლით „შრომითი მამაცობისათვის"—546 კაცი.

# ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ე

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 125 საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მშენებლობის დარგში მრავალი წლის ნაყოფიერი საინჟინრო მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება:

1. შალვა ანდრიას ძე ახალკაცს — საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს საპროექტო ინსტიტუტის პროექტის მთავარ ინჟინერს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ერვანდ პარსენის ძე ბადალოვს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 6 ტრესტის მთავარ ინჟინერს.

3. ანდრია ალექსის ძე გაბუნიას — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს.

4. ივანე გაიოზის ძე გაბუნიას — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ქალაქმშენის საპროექტო ინსტიტუტის მთავარ ინჟინერს.

5. თათეოზ გიორგის ძე გეგელიას — სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის თბილისის „ჰიდროენერგოპროექტის" განყოფილების დირექტორს.

6. შალვა სამსონის ძე დანელიას—თბილგვირაბმშენის სამმართველოს მთავარ ინჟინერს.

7. მირიან სილოვანის ძე ებრალიძეს — ტრესტ საქჰიდროელექტრომშენის ხრამჰეს 2 მშენებლობის უფროსს

8. გრიგოლ სილიბისტროს ძე ვაშაკიძეს — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს.

9. მიხეილ გრიგოლის ძე თავდგირიძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 7 ტრესტის მმართველს.

10. ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე კანანოვს — ა/კ რკინიგზის საპროექტო კანტორის მთავარ ინჟინერს.

11. ვლადიმერ ანდრიას ძე კაციტაძეს — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს კავკასიის საპროექტო-საკვლევო სახელმწიფო ინსტიტუტის უფროსს.

12. ვახტანგ პავლეს ძე კერესელიძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილეს.

13. მიხეილ მიხეილის ძე კისელიოვს — საქართველოს მეტალურგქარხნების პროექტირების სახელმწიფო ინსტიტუტის მთავარ ინჟინერს.

14. ივანე ივანეს ძე ლოიკოს — მთავართბილმშენის მთავარი ინჟინრის მოადგილეს.

15. არჩილ ზაბულონის ძე ლომინაძეს — საქართველოს სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის დირექტორს.

16. ირაკლი მიხეილის ძე მღებრიშვილს — ტრესტ საქჰიდროენერგომშენის მმართველს.

17. კონსტანტინე ვასილის ძე პროზოროვს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტის მთავარ ინჟინერს.

18. გიორგი ვლადიმირის ძე რობიტაშვილს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარი სამმართველოს უფროსს.

19. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე სლოვინსკის — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს მთავარი საგზაო მშენებლობის საპროექტო ინსტიტუტის თბილისის ფილიალის მთავარ ინჟინერს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

20. ქსენია ილარიონის ასულ ურუშაძეს — მთავართბილმშენის № 3 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მთავარ ინჟინერს.

21. გაბრიელ მიხეილის ძე **ქართველიშვილს** — მთავართბილმშენის უფროსს.

22. მიხეილ მიხეილის ძე **ქებულაძეს** — საქართველოს შახტების პროექტირების სახელმწიფო ინსტიტუტის მთავარ ინჟინერს.

23. თინა კონსტანტინეს ასულ **ქუთათელაძეს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს.

24. ვასილ ტიმოთეს ძე **ყავლაშვილს**—ტრესტ საქჰიდროენერგომშენის თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მშენებლობის უფროსს.

25. დავით ირაკლის ძე **შავიშვილს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის არქიტექტურის სამშენებლო კონტროლის მთავარი ინსპექციის უფროსს.

26. გიორგი მიხეილის ძე **ჩომახიძეს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ტექნიკური განყოფილების უფროსს.

27. ვალერიან რაჟდენის ძე **ჩუბინიძეს** — ტრესტ საქჰიდროენერგომშენის მთავარ ინჟინერს.

28. გიორგი გიორგის ძე **ჩუბინიშვილს** — თბილქალაქპროექტის მთავარ ინჟინერს.

29. ვარლამ პავლეს ძე **ჩხეიძეს** — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამშენებლო მასალათა მრეწველობის სამმართველოს ტექნიკური განყოფილების უფროსს.

30. ვიქტორ ზევინის ძე **ჩხეიძეს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს საპროექტო ინსტიტუტის სოფლმშენპროექტის მთავარ ინჟინერს.

31. ალექსანდრე ტიგრანის ძე **ცატუროვს** — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს ა/კ სატრანსპორტო სამშენებლო ტრესტის უფროსს.

32. ნიკოლოზ ილარიონის ძე **ხაზარაძეს** — საქართველოს სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის მთავარ ინჟინერს.

33. შალვა ლევანის ძე **ხეჩინაშვილს** — თბილქალაქპროექტის გაზმშენის სექტორის მთავარ ინჟინერს.

34. ზურაბ სერგოს ძე **ჯაფარიძეს** — ტრესტ ა/კ მეტალურგმშენის მმართველს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. **ძოწენიძე**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. **გელდიაშვილი**.

ქ. თბილისი, 1960 წლის 13 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 126 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოებულ იქნან:

### მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“

1. არამ სტეფანეს ძე **აგამირზოვი** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს განყოფილების უფროსის მოადგილე.

2. ვასილ ივანეს ძე **ბარამიძე** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილე.

3. აკაკი კალისტრატეს ძე **გიგიაძე** — ქუთაისის საქალაქო სახანძრო დაცვის განყოფილების 1 სახანძრო რაზმის მებრძოლი

4. გიორგი იოსების ძე **ვოლკოვი**—სახანძრო რაზმის უფროსი

5. ვახტანგ ლუკას ძე **კორძაია** — სამტრედიის საქალაქო სახანძრო რაზმის ათეულის მეთაური

6. ნიკოლოზ გიორგის ძე **ლაღაძე** — სამტრედიის საქალაქო სახანძრო რაზმის ავტომძღოლი

7. ოთარ კონსტანტინეს ძე **მაღლაფერიძე** — ქუთაისის საქალაქო სახანძრო დაცვის განყოფილების 1 სახანძრო რაზმის მებრძოლი

8. შოთა დომენტის ძე **ორმოცაძე** — ქუთაისის საქალაქო სახანძრო დაცვის განყოფილების მე-2 სახანძრო რაზმის ათეულის მეთაური

9. ვლადიმერ კონსტანტინეს ძე **რაიკო.**

10. ძუკუ აკაკის ძე **ხოტივარი** — ქუთაისის საქალაქო სახანძრო დაცვის განყოფილების 1 სახანძრო რაზმის ყარაულის უფროსი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 13 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 127 საქართველოს სსრ მოწინავე მშენებლების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

„მშენებლის დღესთან“ დაკავშირებით დაჯილდოებულ იქნან საქართველოს სსრ მოწინავე მშენებლები **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დავით სიმონის ძე **ბაღდავაძე** — ტრესტ „საქშახტმშენის“ კალატოზთა ბრიგადირი

2. კონსტანტინე ივანეს ძე **ბათმანოვი** — „კაველექტრომონტაჟის“ თბილისის უბნის უფროსი

3. ნათელა ილიას ასული **ბაკურაძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ტიპური პროექტირების განყოფილების უფროსი ინჟინერი

4. გიორგი ივანეს ძე **ბებუთიშვილი** — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ ექსკავატორის მემანქანე

5. ივანე დავითის ძე **ბეჟუაშვილი** — საქართველოს სსრ სამშენებლო სამინისტროს № 2 ტრესტის სამუშაოთა მწარმოებელი

6. შალვა ლევანის ძე **გარდაბხაძე** — ტრესტ „საქშახტმშენის“ მმართველი

7. ირაკლი საჩინოს ძე **გაგიევი** — „თბილგვირაბმშენის“ № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის გამყვანთა ბრიგადირი

8. ქუქუნა სტეფანეს ასული **გვიშიანი** — ლაჯანურჰესის მშენებლობის მოტორისტი

9. პეტრე გიორგის ძე **გოქაძე** — ლაჯანურჰესის მშენებლობის მებეტონეთა ბრიგადირი

10. თევდორე პანკოს ძე **გრეტ** — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო სამშენებლო სამმართველოს ხურო

11. ალექსანდრე იოსების ძე **დათაშვილი** — „თბილგვირაბმშენის“ № 1 მშენებლობის ზეინკალთა ბრიგადირი

12. მატრონე თევდორეს ასული **დაშკოვა**—„მთავართბილმშენის“ № 3 სამშენებლო სამმართველოს მუშა

13. ვართან აკოფის ძე **ვართანოვი** — „მთავართბილმშენის“ № 2 სამშენებლო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი

14. ლეონიდე პეტრეს ძე **ვახრუშევი** — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო სამშენებლო სამმართველოს ბრიგადირი

15. ივანე ალექსანდრეს ძე **ვესიოლი** — „მთავართბილმშენის“ სპეცსამშენებლო ტრესტის მეარმატურე

16. ვენერა შალვას ასული **ზაალიშვილი** — კასპის ცემენტის ქარხნის წიდა ბლოკების საამქროს უფროსი

17. ვიქტორ ივანეს ძე **თედეევი** — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ სამშენებლო სამმართველოს მეარმატურე

18. პავლე ვლადიმერის ძე **თოდრია** — ტრესტ „ამიერკავკასიის მეტალურგმშენის“ მთავარი ინჟინრის მოადგილე

19. იოსებ ანდრიას ძე **ილიჩევი** — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ „შახტმშენის“ სამშენებლო სამმართველოს მებათქაშე

20. გივი ირაკლის ძე **ისელიძე**—„მთავართბილმშენის“ სპეცსამშენებლო ტრესტის მეარმატურე

21. იოსებ პეტრეს ძე **კალჩენკო** — ტრესტ „ამიერკავკასიის მეტალურგმშენის“ სამუშაოთა მწარმოებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

22. ევლოგი ერმალოზის ძე **კამკამიძე** — „თბილგვირაბმშენის“ № 1 მშენებლობის უფროსის მოადგილე

23. მიხეილ ერმიგონის ძე **კაპანაძე** — ამიერკავკასიის სატრანსპორტო სამშენებლო ტრესტის მესამე სამშენებლო უბნის მებეტონეთა ბრიგადირი

24. ნოდარ გრიგოლის ძე **კაპანაძე** — „სოიუზპრომვენტილაციის“ თბილისის უბნის მემონტაჟეთა ბრიგადირი

25. ბაგრატ ალექსის ძე **კერესელიძე** — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ მთავარი გეოლოგი

26. ილია სარდიონის ძე **კვარაცხელია** — „მთავართბილმშენის“ № 9 სამშენებლო სამმართველოს უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი

27. რობიზონ ბართლომეს ძე **კოკოლაძე** — ტრესტ „ამიერკავკასიის მეტალურგმშენის“ კალატოზთა ბრიგადირი

28. ლუბა ნიკოლოზის ასული **კოტრიკაძე** — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსი ინჟინერი

29. რევაზ კონსტანტინეს ძე **კუდუხაშვილი** — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ სამოქალაქო საბინაო სამშენებლო სამმართველოს ბრიგადირი

30. შალვა ალექსის ძე **ლებანიძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე

31. ვალენტინა ეფრემის ასული **ლიპატოვა** — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ სამოქალაქო საბინაო სამშენებლო სამმართველოს მოტორისტი

32. ბარბალე ალექსის ასული **ლუკიანოვა** — „სტალკონსტრუქციის“ რუსთავის უბნის ამწეს მემანქანე

33. გიორგი ილიას ძე **მაისურაძე** — ტრესტ „ამიერკავკასიის მეტალურგმშენის“ სამშენებლო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი

34. სიმონ ანდრიას ძე **მახათაძე** — ტრესტ „ამიერკავკასიის მეტალურგმშენის“ სამშენებლო სამმართველოს „ზესტაფონმშენის“ უფროსი

35. ალექსი სიმონის ძე **მერკვილაძე** — საქართველოს სსრ სამშენებლო სამინისტროს № 5 ტრესტის მებეტონეთა კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი

36. ტატიანა იასონის ასული **მესხი** — „მთავართბილმშენის“ № 10 სამშენებლო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი

37. დავით ვასილის ძე **მინდიაშვილი** — საქართველოს სსრ სამშენებლო სამინისტროს № 4 ტრესტის მებეტონე

38. ნიკოლოზ ზაქარიას ძე **ნადირაშვილი** — „მთავართბილმშენის“ № 2 სამშენებლო სამმართველოს კალატოზი

39. ივანე დომენტის ძე **ნებიერიძე** — ტრესტ „ჭიათურმარგანმშენის“ სამშენებლო სამმართველოს „ჭიათურმშენის“ უფროსი

40. ივანე მიხეილის ძე **ოკუჯავა** — ტრესტ „ამიერკავკასიის მეტალურგმშენის“ სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი.

41. სიმონ ერვანდის ძე **პარონიანი** — ტრესტ „ახალციხშახტმშენის“ სამშენებლო სამმართველოს ხუროთა ბრიგადირი

42. დიმიტრი იოსების ძე **პაპაშვილი** — „მთავართბილმშენის" № 4 სამშენებლო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი

43. მაკარ პავლეს ძე **პერტაია**—საქართველოს სსრ სამშენებლო სამინისტროს № 6 ტრესტის ხურო

44. სოფიო ივანეს ასული **რუხაძე** — „საქმშენსახპროექტის" პროექტის მთავარი კონსტრუქტორი

45. ამირან პლატონის ძე **სალუქვაძე** — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის პროექტირების სახელმწიფო ინსტიტუტის დირექტორი

46. იპოლიტე სარდიონის ძე **ტაგანაშვილი** — ამიერკავკასიის სატრანსპორტო სამშენებლო ტრესტის პირველი სამშენებლო უბნის მღებავთა ბრიგადირი

47. სოლომონ აბელის ძე **ულუხანოვი** — ამიერკავკასიის სატრანსპორტო სამშენებლო ტრესტის პირველი სამშენებლო უბნის მთავარი ინჟინერი

48. მარიამ აბრამის ასული **ულიანოვა** — „მთავართბილმშენის" დამხმარე საწარმოების № 1 კომბინატის მეარმატურე

49. ალექსანდრე სიმონის ძე **უსაჩევი** — ტრესტ „ამიერკავკასიის მეტალურგმშენის" ელექტრომონტიორი

50. იური თეიმურაზის ძე **ურუშაძე**—საქ. კ. პ. თბილისის კომიტეტის კომუნალური მეურნეობისა და საქალაქო მშენებლობის განყოფილების გამგე

51. თამარ პარმენის ასული **ქავთარაძე**—ტრესტ „ჭიათურმარგანეცის" „შახტმშენის" სამშენებლო სამმართველოს მუშა

52. სიმონ ნურიალის ძე **ქათამაძე** — საქართველოს სსრ სამშენებლო სამინისტროს № 5 ტრესტის კალატოზი

53. სერგო პავლეს ძე **ქიტუაშვილი** — საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს შემდუღებელი

54. ნადეჟდა მიხეილის ასული **ქურდიანი** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტირების სახელმწიფო სამშენებლო ინსტიტუტის მთავარი არქიტექტორი

55. ივანე ვასილის ძე **ჩაჩანიძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ტიპური პროექტირების განყოფილების უფროსი

56. პეტრე სტეფანეს ძე **ჩერნიშევი** — „კავსანტექმონტაჟის" რუსთავის უბნის ზეინკალ-მემონტაჟე

57. დავით გერსამის ძე **ჩხიკვაძე** — საქართველოს სსრ სამშენებლო სამინისტროს № 5 ტრესტის ხურო

58. ვარლამ ნიკოლოზის ძე **ცუცქირიძე** — ტრესტ „ჭიათურმარგანმშენის" ექსკავატორის მემანქანე

59. ანდრია ირაკლის ძე **ცქიტიშვილი** — სსრკ სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს № 61 ხიდების მშენებლობის უფროსი

60. შალვა ანდრიას ძე ჯაზუა — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო საქმეთა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

61. ანდრია ოთარის ძე გულია — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის № 3 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 13 აგვისტო.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 128 კასპის რაიონის სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან ა. ნ. გოგოლაძის გაწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გაწვეულ იქნას ალექსი ნიკოლოზის ძე **გოგოლაძე** კასპის რაიონის სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან არასწორი და ლიბერალური განაჩენების გამოტანისათვის.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 13 აგვისტო.

## განყოფილება მესამე

## საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1960 წლის 13 აგვისტოს ბრძანებულებით დააჯილდოვა **„სახელოვანი დედის“** ორდენებითა და **„დედობის მედლის“** მედლებით 657 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისიდან | | 106 |
| ქ. რუსთავიდან | | 30 |
| აბაშის | რაიონიდან | 27 |
| ადიგენის | „ | 10 |
| ახალქალაქის | „ | 54 |
| გეგეჭკორის | „ | 18 |
| ბოგდანოვკის | „ | 42 |
| გორის | „ | 9 |
| დუშეთის | „ | 22 |
| თელავის | „ | 4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| თეთრიწყაროს | რაიონიდან | 28 |
| თერჯოლის | „ | 26 |
| ლაგოდეხის | „ | 24 |
| მახარაძის | „ | 23 |
| მცხეთის | „ | 8 |
| საგარეჯოს | „ | 73 |
| სიღნაღის | „ | 6 |
| ყაზბეგის | „ | 13 |
| ჩოხატაურის | „ | 10 |
| ჩხოროწყუს | „ | 59 |
| წალკის | „ | 46 |
| ხაშურის | „ | 19 |

## ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 3 აგვისტოს ბრძანებულებით ოჩამჩირის რაიონის არადუს სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი ცაგერა და მიეკუთვნა ამავე რაიონის ქოჩარის სასოფლო საბჭოს.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამავე ბრძანებულებით გუფის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე შეიქმნა სოფელი და ეწოდა **ახალი აკვასკია**, რომელიც ადმინისტრაციულად დაექვემდებარა ოჩამჩირის რაიონის ბესლახუბის სასოფლო საბჭოს.